



წლიური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ვენდუ“-ს, (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ✓ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ✓ გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ✓ განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და არის თუ არა მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ✓ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ✓ კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ✓ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული

სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;

- ✓ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- ✓ თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ გამოსაშვებად დამტკიცდა 2021 წლის 27 სექტემბერს.

შპს „ვენდუ“-ს
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		ლარი
	2020 წ.	2019 წ.
ნეტო ამონაგები	916 598	2 449 897
საქონლის გაყიდვიდან	916 598	2 429 773
მომსახურების გაწევიდან	-	20 124
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	-	(2 415 595)
საერთო მოგება	916 598	34 302
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(2 984 622)	(2 004 351)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(380 227)	(108 888)
საპროცენტო შემოსავალი	64 940	59 227
საპროცენტო ხარჯი	-	-
იჯარის ხარჯი	(39 910)	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1 494 036)	(3 023 569)
სულ საოპერაციო ხარჯები	(4 833 855)	(5 077 581)
საოპერაციო მოგება	(3 917 257)	(5 043 279)
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობის შედეგად	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-	-
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განკარგული	(3 917 257)	(5 043 279)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(3 917 257)	(5 043 279)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	-	-
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გაყიდვის შედეგად	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოს მიერ)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(3 917 257)	(5 043 279)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1 938 155	1 325 434
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალიზაცია')	3 967 250	5 656 000
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 988 148	1 938 155

შპს „ვენდუ“-ს
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	ლარი		
	2020 წ.	2019 წ.	2018 წ.
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	108 136	671 798	217 120
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	339 862	413 674	-
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	-	102 642
მარაგები	21 435	26 965	-
მზა პროდუქცია	21 435	26 965	-
სხვა	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	612 883	591 470	929 151
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-	-
გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	1 173 383	634 493	-
ძირითადი საშუალებები	387 025	848 862	77 159
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	2 642 724	3 187 262	1 326 072
საიჯარო ვალდებულება	47 832	313 767	-
სავაჭრო ვალდებულებები	421 941	821 114	638
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	67 989	-
საგადასახადო ვალდებულებები	184 803	46 237	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა სხვა ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	654 576	1 249 107	638
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	11 123 250	7 156 000	1 500 000
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(9 135 102)	(5 217 845)	(174 566)
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	1 988 148	1 938 155	1 325 434
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 642 724	3 187 262	1 326 072
მ.შ. სულ მოკლევადიანი აქტივები	1 082 315	1 703 907	1 248 913
მ.შ. სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	654 576	1 249 107	638

შპს „ვენდუ“-ს
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

			ლარი
	2020 წ.		2019 წ.
ფულადი სახსრების მოძრაობა			
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(3 970 008)		(4 028 652)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	3 368 694		4 323 821
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	44 392		170 424
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(556 922)		465 593
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(6 740)		(10 915)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	671 798		217 120
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	108 136		671 798

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვენდუ“ (შემდგომში კომპანია) - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საიდენტიფიკაციო ნომრით: 405291090, იურიდიულ პირად დარეგისტრირდა საქართველოში 2018 წლის 18 სექტემბერი. კომპანიის იურიდიული მისამართია: პეტრე ქავთარაძის ქ.44, ბლოკი 8, კომერციული ფართი #8. კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია შპს „თიბისი ეკოსისტემ კომპანის“, საქართველო, ს/ 402116474.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- საცალო ვაჭრობა საფოსტო შეკვეთით ან ინტერნეტის საშუალებით
- სხვა საფოსტო და საკურიერო მომსახურება

კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2020 წლის განმავლობაში შეადგენდა - 120 ადამიანს, (2018 - 9 ადამიანს, 2019 -91 ადამიანს).

კომპანიის ფაქტიური მისამართია : ქ.თბილისი, ალექსიძის 1, კორპუსი 1, სართული 1.

2. ანგარიშის მომზადების ძირითადი დებულებები და საფუძველი

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტისათვის 2020 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური აღრიცხვის

შპს „ვენდუ“-ს
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) მოთხოვნების შესაბამისად რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ორგანიზაციის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მოხდა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) გამოყენება. შესაბამისად, ორგანიზაციამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და -განმარტებით შენიშვნებს.

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი (ლარი).

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

2.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

ამონაგების აღიარება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის რალიზაციიდან მიღებული ამონაგები აღიარდება საქონლის მიწოდებისას და საკუთრების უფლების გადაცემისას, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ საქონლის გადაცემასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა;
- შესაძლებელია საქონლის გადაცემასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

უცხოური ვალუტა. ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ფიციალური გაცვლითი კურსი		
	USD	EUR	GBP
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8677	3.2095	3.7593
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701	3.3955

ძირითადი საშუალებები. თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	5 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები. ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა

პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივებისთვის გამოიყენება 15%-იანი ამორტიზაციის განაკვეთი, წრფივი მეთოდით.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება. კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს).

მარაგი. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება შეფასებული გასაყიდი ფასით, გამოკლებული დასრულების შეფასებული დანახარჯები და გაყიდვისთვის აუცილებელი დანახარჯები.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე ანგარიშებზე ბანკებში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება. შეფასებული შეუქცევადი თანხების სათანადო ანარიცხები მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს. აღიარებული ანარიცხები შეფასდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას შორის.

საწესდებო კაპიტალი. კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

გადახდილი საგადასახადო ავანსი და გადასახდელი გადასახადები. გადახდილი საგადასახადო ავანსი აისახება ნომინალური ღირებულებით, შემცირებული ამოუღებელი თანხის ანარიცხით. გადასახდელი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აისახება ნომინალური ღირებულებით.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსი. მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსი აისახება თვითღირებულებით, შემცირებული ამოუღებელი თანხების ანარიცხით.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

3 ფული და ფულის ეკვივალენტები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული სალაროში		2 260
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებ	83 747	640 684
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებ	24 389	28 852
ფული გზაში		
	108 136	671 796

ფულისა და ფულის ეკვივალენტების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის მატერიალური სხვაობა არ არის.

4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ვადაგადაცილებულ მოთხოვნებზე შესაქმნელი ანარიცხების შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	86 997	169 311
სხვა მოთხოვნები	3 503	1 195
მოთხოვნების გაუფასურების რეზერ	(8 329)	-
	82 171	170 506
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	263 772	233 993
გადახდილი ავანსების გაუფასურებ	(41 868)	(9 582)
	221 904	224 411
სულ მოთხოვნები	304 075	394 917
	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	(9 582)	-
რეზერვის ცვლილება	(40 615)	(9 582)
ნაშთი წლის ბოლოს	(50 197)	(9 582)

შპს „ვენდო“-ს
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

ფინანსური მოთხოვნები

31 დეკემბერი 2020	მიმდინარე	< 30 დღეზე	31-90 დღე	91-180 დღე	181-365 დღე	> 365 დღეზე	სულ
საერო-დოკუმენტაციის ანგარიშები (%)	1%	10%	20%	30%	50%	100%	
ფინანსური მოთხოვნები							
მთლიანი დივულგაცია	67 948	41	8 212	2 641	6 700	4 958	90 500
ანგარიშები	(676)	(4)	(1 643)	(715)	(3 350)	(1 941)	(8 329)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	67 272	37	6 569	1 926	3 350	3 017	82 171

5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვლილებები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს:

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერები და სხვა ტექნიკა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანები	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2018	-					
ბიზნეს კომპინაცია						
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	130 756	69 539	55 074	13 652	22 284	291 305
შესყიდვები	143 224	59 149	127 571	20 953	20 088	370 985
ჩამოწერები	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	273 980	128 688	182 645	34 605	42 372	662 290
შესყიდვები	4 275	854	40 827	-	15 821	61 777
რეალიზაცია	(4 066)	(17 883)	-	-	-	(21 949)
ჩამოწერები	(22 444)	(11 646)	(180 672)	-	(7 256)	(222 018)
31 დეკემბერი 2020	251 745	100 013	42 800	34 605	50 937	480 100
აკუმულირებული ცვეთა						
31 დეკემბერი 2018	-	-	-	-	-	-
ბიზნეს კომპინაცია						
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	(4 511)	(2 362)	(2 457)	(232)	(710)	(10 272)
ცვეთა წლის განმავლობაში	(33 800)	(18 627)	(22 776)	(4 006)	(2 920)	(82 129)
ჩამოწერები	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(38 311)	(20 989)	(25 233)	(4 238)	(3 630)	(92 401)
ცვეთა წლის განმავლობაში	(52 848)	(24 432)	(37 579)	(5 663)	(9 819)	(130 341)
რეალიზაცია	1 438	6 411	-	-	-	7 849
ჩამოწერები	7 403	3 782	58 554	-	2 671	72 410
31 დეკემბერი 2020	(82 318)	(35 228)	(4 258)	(9 901)	(10 778)	(142 483)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2019	235 669	107 699	157 412	30 367	38 742	569 889
31 დეკემბერი 2020	169 427	64 785	38 542	24 704	40 159	337 617

შპს „ვენდუ“-ს
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ცვლილებები 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებულ წელს:

ისტორიული ღირებულება	ვებ-საიტები	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2018	-	-	-
ბიზნეს კომბინაცია			-
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	76 228	6 462	82 690
შესყიდვები	543 006	14 091	557 097
ჩამოწერები	-	-	-
31 დეკემბერი 2019	619 234	20 553	639 787
შესყიდვები	585 538	47 767	633 305
ჩამოწერები	-	-	-
31 დეკემბერი 2020	1 204 772	68 320	1 273 092
აკუმულირებული ცვეთა			
31 დეკემბერი 2018	-	-	-
ბიზნეს კომბინაცია			-
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	(2 361)	(131)	(2 492)
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(1 883)	(919)	(2 802)
ჩამოწერები	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(4 244)	(1 050)	(5 294)
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(86 830)	(7 584)	(94 414)
ჩამოწერები	-	-	-
31 დეკემბერი 2020	(91 074)	(8 634)	(99 708)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	614 990	19 503	634 493
31 დეკემბერი 2020	1 113 697	59 686	1 173 383

7 საწესდებო კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენს 11 123 250,00 ლარს. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „თიბისი ეკოსისტემ კომპანის“, საქართველო, ს/ 402116474.

8 სავაჭრო ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია სავაჭრო ვალდებულებების შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის:

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საიჯარო ვალდებულებები	47 832	313 766
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	411 193	739 555
	47 832	313 766

შპს „ვენდუ“-ს
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულება	4 302	12 906	35 850	53 058
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	411 193	-	-	411 193
	411 193	-	-	411 193

9 შემოსავალი

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში კომპანიის ამონაგები მოიცავდა პროდუქციის გაყიდვიდან და გაწეული მომსახურებიდან მიღებულ ამონაგებს.

	2020	2019
ამონაგები მიღებულია:		
საქონლის რეალიზაციიდან	525 830	-
საკურიერო მომსახურებიდან	124 280	28 729
სარეკლამო ბანერების განთავსებიდან	217 647	-
სხვა შემოსავალი	48 841	-
	916 598	28 729

10 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლებისათვის:

	2020	2019
ტელე და რადიო რეკლამა	(7 881)	(539 511)
წამახალისებელი აქცია პროდუქციის	-	(169 390)
მომხმარებელთან კომუნიკაცია	(63 846)	(34 809)
ინტერნეტ რეკლამა	(494 555)	(493 526)
პროფესიული მომსახურება	(47 180)	(55 634)
სარეკლამო ბანერი	(91 322)	(386 546)
მარკეტინგული მარაგების ხარჯი	(37 259)	-
სხვა მარკეტინგული ხარჯი	(13 213)	(59 468)
	(755 256)	(1 738 884)

შპს „ვენდო“-ს
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

	2020	2019
საკუთრიერო მომსახურება	(202 328)	(109 057)
კომუნიკაცია	(49 156)	(35 362)
საკონსულტაციო და პროფესიული მ	(10 717)	(72 453)
ოფისის ხარჯი	(51 621)	(34 644)
სერვერის მიმდინარე მომსახურება	(62 215)	(34 121)
დაცვის ხარჯი	(39 769)	(29 850)
დაზღვევა	(8 013)	(5 305)
ბანკის საკომისიო	(2 829)	(42 185)
თანამშრომელთა ტრენინგები	-	(31 303)
მივლინება	-	(20 374)
კომუნალური გადასახადები	(18 451)	(17 352)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(40 614)	(9 582)
მოკლევადიანი იჯარა	(39 910)	
გადასახადები გარდა მოგების გადა	(33 800)	
საწვავი	(31 062)	
საიტის პროგრამული უზრუნველყო	(7 776)	
სხვა საერთო ხარჯი	(96 837)	(61 085)
	(695 098)	(502 673)

11 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომზადარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

12 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დირექტორმა გამოსაცემად დაამტკიცა 2020 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:




დimitრი გოგალიშვილი

მთავარი ბუღალტერი:



დიანა დათეშიძე